ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

გოგიტიძე მადონა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში და მიმდინარე გამოწვევები

სპეციალობა - ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმღვანელი: ლელა ჯაბაია,

ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური - 2020

ანოტაცია

მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და ამცირებს სიღარიბეს. ქმნის გარემოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისათვის, რომელიც წარმოადგენს სტიმულს ქვეყნის მოსახლეობისთვის.

ნაშრომში გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოშობა, მისი განვითარების ეტაპები, მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციები და მოცემულია SWOT ანალიზი. განხილულია მეწარმეების როლი თანამედროვე ბიზნესში. აგრეთვე კომპლექსურადაა შესწავლილი ბიზნეს სექტორის ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმებულთა რაოდენობა. მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული პანდემიის პერიოდში მცირე და საშუალო მეწარმეების პრობლემებზე, სახელმწიფო შეღავათებზე და პრობლემის გადაჭრის გზებზე.

ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ასევე სხვადასხვა კვლევებია ჩატარებული მცირე და საშუალო მეწარმეების მიმდინარე გამოწვევებზე.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ანალიზის, შედარების, ანკეტური გამოკითხვის, სტატისტიკური და ექსპერტული შეფასებათა მეთოდები. გამოყენებულია სისტემური მიდგომა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მცირე და საშუალო მეწარმეობა განხილული იქნას, როგორც ბიზნესი თავისი მიზნებით, მათი რეალიზაციის და გარკვეული შედეგების მიღების საშუალებით.

Annotation

Small and medium business development trends in Georgia and current challenges

Small and medium business is one of the important factors for the development of the country and the economy in general , which provides job creation, promotes GDP growth and reduces poverty. Creates an environment for economic and political stability that is a stimulus for the country's population.

The paper analyzes the origins of small and medium business, with its stages, SME functions and SWOT analysis. The role of entrepreneurs in modern business is discussed. The turnover of the business sector, product output and number of employees are also comprehensively studied. Significant attention is paid to the problems of small and medium – sized enterprises during the pandemic, state benefits and ways to solve the problem.

The paper discusses the theoretical and practical issues of small and medium entrepreneurs, as well as important research on the current challenges of small and medium entrepreneurs.

In the process of working on the paper, methods of scientific research were used, such as methods of analysis, comparison, statistical and expert evaluations of the survey. A systematic approach is used , which allows small and medium enterprises to be considered as a business for its goals, through their realization and obtaining certain results.

Gogitidze. M

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში.

1.1.მცირე და საშუალო ბიზნესის ევოლუცია.....7

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და მნიშვნელობა.....10

1.3 მცირე და საშუალო ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა და swot ანალიზი 14

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ანალიზი საქართველოში.

2.1. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი.....21

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის გარემო საქართველოში და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.....29

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის მიმდინარე გამოწვევები.

3.1. რა პრობლემები შეუქმნა მცირე და საშუალო ბიზნეს მიმდინარე გამოწვევამ..... 34

3.2. მცირე და საშუალო ბიზნესზე გაწეული შეღავათები მიმდინარე გამოწვევის პირობებში..... 43

3.3. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკის კვლევა საქართველო..... 46

დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 58

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. XX საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველო ხასიათდება, როგორც პროტექციონიზმის პერიოდი. 50-იანი წლებიდან საქართველოს მეურნეობა განვითარების წამყვანი ტენდენცია გახდა. დაიწყო ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

XXI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სახეს ტექნოლოგიური ინტეგრაცია წარმოადგენს. მართალია, იგი გარკვეული ფორმით ადრეც არსებობდა, თუმცა დღეს საკითხი ეხება საქართველოს მეურნეობაში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გააქტიურებას. ასე რომ, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თავისებურება არის მისი სამეურნეო ცხოვრების პროგრესირებადი ნაციონალიზაცია.

სამაგისტრო ნაშრომში - **„საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მიმდინარე გამოწვევები“,** შესწავლილია საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მისი გამომწვევი მიზეზები, რაც განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ბიზნესის განვითარება საქართველოს ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესი ითვლება ეკონომიკური ზრდის კატალიზატორად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ გამოგვეკვეთა ბარიერები და დაგვესახა ღონისძიებები ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

ამ მიზნიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის გენეზისისა და ევოლუციის შესწავლა;

- მცირე და საშუალო საწარმოთა ნიშან-თვისებების, კრიტერიუმებისა და პარამეტრების გაცნობა საქართველოში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციების, ღირსებების, ნაკლოვანებების და სიცოცხლისუნარიანობის გამოკვლევა;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის საკანონმდებლო უზრუნველყოფის შეფასება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საქართველოში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საქართველოში;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შეფასება;
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის დონის გამოკვლევა;
- საქართველოში მიმდინარე გამოწვევების პრობლემები მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის;
- საქართველოში მიმდინარე გამოწვევის პერიოდში სახელმწიფო დახმარება მცირე და საშუალო მეწარმეებზე.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, მისი განვითარების პერსპექტივების დადგენა. **კვლევის ობიექტია** მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც მიმდინარე გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო თემის დასამუშავებლად გამოყენებულია ქართული და უცხოური ლიტერატურები, საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, სტატისტიკური მონაცემები, ცალკეული კვლევების შედეგები.

კვლევა ჩატარებულია ანალიზისა და სინთეზის, დაკვირვების, ინდუქციის და დედუქციის, სოციალური გამოკითხვის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.

თავი1. მცირე და საშუალო ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში

1.1. მცირე და საშუალო ბიზნესის ევოლუცია

ბიზნესი ჩაისახა ორმოცი საუკუნის წინათ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში - ბაბილონში, საბერძნეთში, ეგვიპტეში და სხვაგან.(ბალიაშვილი, 2012: 81)

ჯერ კიდევ 2100 წ ძვ წ აღ - მდე ხამურაბმა - ბაბილონის მეფემ - ჩამოაყალიბა მცირე ბიზნესის ერთ-ერთი კანონი, რომლის არსი გახლდათ მომხმარებელთა დაცვა სხვადასხვა რჯულის მატყუარებისგან. მცირე და საშუალო ბიზნესმა დიდი გზა გაიარა. თანდათან განვითარდა და ბიზნესის ქვესისტემის სახით მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, როცა ინგლისში ორთქლის ძრავის გამოგონებით მოხდა სამრეწველო გადატრიალება და ყველა საწარმო, რომელიც არ ეფუძნებოდა მას, ე. ი რომელიც არ იყო მექანიზებული, წვრილ და საშუალო საწარმოდ ჩაითვალა.

თავის განვითარებაში მცირე და საშუალო ბიზნესმა რამდენიმე ეტაპი გაიარა. იწყება XIX საუკუნის ბოლოდან და გრძელდება XX საუკუნის 30-იან წლებამდე, ანუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე. ამ პერიოდში განადგურდა სხვადასხვა ქვეყნებში წვრილ-წვრილი წარმოებები. ეს მოხდა ახლად წარმოქმნილ, მექანიზებულ მცირე საწარმოებთან შეჯახებით. შემდეგ ამ ახლად წარმოქმნილ მცირე და საშუალო საწარმოებს იგივე დარგში მოღვაწე მსხვილ საწარმოებთან მოუხდათ კონკურენცია, რომლებშიც თვითონ ფუნქციონირებდნენ, რომლის შედეგად დაიწყო მცირე საქონელმწარმოებელთა გაკოტრება. მათმა ნაწილმა გადაინაცვლა იმ სფეროში, სადაც კონკურენცია ან საერთოდ არ იყო, ან სუსტი იყო. მცირე და საშუალო საქონელ წარმოებაში გამოჩნდა შედარებით სპეციფიკური უბნები, რომლებიც ლოკალურ, სპეციფიკურ ბაზრებს ან მათ რომელიმე სეგმენტს ემსახურებოდნენ.

პირველი ეტაპზე ტექნოლოგიური რევოლუცია მოხდა XIX საუკუნის ბოლოს, როცა ორთქლის ძრავა შეცვალა ელექტრო და შიგაწვის ძრავამ, რომელმაც შექმნა ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების საფუძველი. ამ დროიდან თუ მცირე არა, საშუალო სიდიდის საწარმო, მსხვილი საწარმოს ტიპიური გახდა, რომლებიც განსხვავდება არა ხარისხობრივი მაჩვენებლებით, არამედ რაოდენობრივი, კერძოდ: წარმოების მასშტაბი, დასაქმებულთა რიცხვი, კაპიტალ-აღჭურვა და სხვა.

მეორე ეტაპი რომელიც გაგრძელდა XX საუკუნის 30 - იანი წლებიდან 70 - იანი წლებამდე, მცირე და საშუალო ბიზნესმა რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები განიცადა. ამ პერიოდში მსხვილმა საწარმოებმა დაიწყეს მსხვილი კაპიტალის შეღავათიანი ჩადება მცირე საწარმოებში, რადგან უფრო იაფი ჯდებოდა პროდუქციის წარმოების ზოგიერთი ტექნოლოგიური სტადიების შესრულება. იქ მათი შესრულება სწრაფიც იყო, ხარისხიანიც და იაფიც. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა, როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი საწარმოების პარტნიორობას, ასევე წარმოებასთან მასიური სუბკონტრაქტული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ პროცესმა რამდენიმე მუდმივი შეკვეთები მისცა მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებს და შეუქმნა მათ სტაბილურობის დამატებითი გარანტიები. ამავე პერიოდში არნახულად გაიზარდა ეკონომიკის მომსახურების სფერო - ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიზნესის ამ სექტორმა დომინირებული მდგომარეობა დაიკავა მომსახურების ბაზარზე. ეს უნდა ჩავთვალოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მეორე სტადიის მესამე ნიშნად, მესამე მომენტად. ამ პერიოდის განმავლობაში საწარმოების ტექნიკური აღჭურვის განახლება ხდებოდა.

მესამე ეტაპი მცირე და საშუალო მეწარმეობის ევოლუციის დაიწყო XX საუკუნის 70 - იანი წლებიდან და იგი გრძელდება დღემდე. მცირე და საშუალო ბიზნესში გამოიყოფა ხუთი ნიშანი, რომელმაც მცირე და საშუალო მეწარმეობა აქცია მყარ, მუდმივად განვითარებად ბიზნეს-სექტორად და ყველა ქვეყნის განვითარების ფუნდამენტად. ეს ნიშნებია:

1. მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება;
2. უმაღლესი ტექნიკა-ტექნოლოგიების წარმოშობა და განვითარება;
3. ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
4. ინოვაციურ სფეროში მცირე და საშუალო მეწარმეობის როლის გაძლიერება;
5. მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ სახელმწიფოთა მთავრობების დამოკიდებულების შეცვლა;

პირველი ნიშანი მოსახლეობის ცხოვრების დონე რომ ყოველდღე უმჯობესდება, ეს არავისთვის არ არის უცხო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შეძლებულ გადამხდელუნარიან ადამიანს არ მოსწონს ის, რაც მასიური, ტიპიურია. მას ყველაფერი - ბინა, ტანსაცმელი, ავტომანქანა და სხვა - არატიპიური უნდა. რითაც ის საზოგადოებაში ინარჩუნებს თავის მაღალი მატერიალური მდგომარეობის სტატუსს. შეძლებულ ადამიანთა ამ თვისებამ ანუ საქონლის პირად მოხმარებაში ინდივიდუალიზაციის გაჩენამ და გაძლიერებამ, დასაბამი მისცა მასიური წარმოების მასშტაბების შეკვეცას და ერთეული წარმოების განვითარება-აღორძინებას, რადგან ერთეული წარმოების შემსრულებლები იყვნენ მცირე და საშუალო საწარმოები. გასაგებია, რომ ეს მათი განვითარებისთვის იყო მეტად ძლიერი მუხტი.

მეორე ნიშანი ამავე პერიოდში ტექნიკა-ტექნოლოგიებში მომხდარმა ცვლილებებმაც, კერძოდ ავტომატიზაციის და კომპიუტერიზაციის წარმოშობამ გარკვეული ბიძგი მისცა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას. საქმე ის არის, რომ ავტომატიზაცია, მათ ბაზაზე წარმოქმნილი სამრეწველო ტექნოლოგიური სისტემები და კომპიუტერიზაცია, ხისტ პირობებს არ უყენებს საწარმოებს, არც დასაქმებულთა რაოდენობაში და არც წარმოების ფიზიკურ მოცულობაში. ამასთან, ეს ტექნიკა მისაღებია, როგორც ბიზნესის მცირე და საშუალო სექტორისთვის, ასევე, ფასითაც. ახალი ტექნიკის სხვადასხვა თაობათა ფასი ისე სწრაფად მცირდება, რომ მათი შეძენა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის აღარ წარმოადგენს დიდ პრობლემას.

მესამე ნიშანი ეს არის ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ინტერნაციონალიზაციის განვითარება, რომელიც ინტეგრაციით დაიწყო და გლობალიზაციით დამთავრდა. გლობალიზაცია დღის წესრიგში ახალმა მსოფლიო

წესრიგმა განაპირობა. გლობალიზაციაში არის ჩართული მთელი მსოფლიო, რა თქმა უნდა საქართველოც.

მეოთხე ნიშანი არის მცირე და საშუალო ბიზნესის განსაკუთრებული როლი ინოვაციურ სფეროში. ეს პერიოდი ხასიათდება იმით, რომ მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიის წარმატების გამომყენებელთა როლიდან გადავიდნენ მისი მწარმოებლების როლში. სწორედ საწარმოს შედარებითი სიმცირე, დასაქმებულთა მცირე რიცხვი, მათი ერთ გუნდად შეკრულობა, მართვის სიადვილე და მოქნილობა იწვევს მათთან შემოქმედებით აქტივობას, რაც საჭიროა ინოვაციების შემუშავებისთვის. ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის.

მეხუთე ნიშანი არის სახელმწიფო მთავრობათა მიდგომების რადიკალური შეცვლა მცირე და საშუალო ბიზნესისადმი. მისი განვითარებით იქმნება საშუალო ფენა, მოსახლეობა საქმდება და ადგილი აღარ აქვს პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურეს ფორმას. ამ საკითხთან დაკავშირებით 1980-90 - იან წლებში ჩამოყალიბდა შემდეგი აზრი: ეკონომიკური სისტემის განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მხარს დაუჭერენ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას(Блинов, 2003: 84)

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი, თვისებები და მნიშვნელობა

მასშტაბების მიხედვით ბიზნესი მსხვილ, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესად იყოფა. მსხვილ ბიზნესში მსხვილი საწარმოები ერთიანდებიან, რომელთა უმრავლესობა სააქციო პრინციპზეა აგებული. მეორე ჯგუფში შედიან საშუალო სიდიდის საწარმოები, მესამეში მცირე სტრუქტურები, მეოთხეში ინდივიდუალური საწარმოები. მცირე ბიზნესი ინდივიდუალურ მეწარმეთა და მცირე საწარმოთა ერთობლიობაა. იგი ძირითადად მეწარმეთა მცირე ჯგუფის სამეწარმეო საქმიანობას ემყარება. დასავლეთის ლიტერატურაში მას „მცირე ეკონომიკასაც“ უწოდებენ.

მცირე ბიზნესი მრავალგანზომილებიანი ცნებაა. იგივე ითქმის საშუალო ბიზნესზე. სამწუხაროდ ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს აზრი მათი უმთავრესი ნიშან-თვისების შესახებ და არც ერთიანი განმარტება არის ჩამოყალიბებული. კარგად ახასიათებს მცირე ბიზნესს პროფესორი უ. სამადაშვილი: „მცირე ბიზნესი არის მცირე საწარმოების ერთობლიობა, რომელსაც შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებებით შეუძლია სწრაფად გაზარდოს ეკონომიკაში საქონელმწარმოებელთა რაოდენობა და ოპერატიულად დააკმაყოფილოს საქონელზე და მომსახურეობაზე მოსახლეობის გაზრდილი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი. მცირე საწარმოებს შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი შეუძლიათ მოძებნონ და დაიკავონ ნიშა და იმუშაონ მომგებიანად. მცირე ბიზნესის უპირატესობაა მოქნილობა და საბაზრო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება“. (სამადაშვილი, 2016:186-187)

ქართველი მეცნიერი ო. შურღაია არ თვლის საკმარისად ამ ნიშან-თვისებებს და წერს: „ამით მაინც არ ამოიწურება, მხედველობაში გვაქვს ის, რომ, ჯერ ერთი მნიშვნელოვანწილად, მცირე მეწარმეობის პოტენციური შესაძლებლობისა და მსხვილ ბიზნესთა შედარებით მის უპირატესობათა მაქსიმალურ რეალიზაციასთან არის დაკავშირებული საერთო ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა, მოსახლეობის განვითარების სტაბილურობა; მეორე, ამავე დროს მცირე ბიზნესი დიდ როლს ასრულებს მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და სექტორის ურთიერთდაბალანსებულ განვითარებაში; მესამე, მსხვილი საშუალო და მცირე ბიზნესი დიდ როლს ასრულებს ურთიერთ ზეგავლენა ხელსაყრელ პირობებს ქმნის თითოეულ სფეროში მატერიალური შრომითი და ინტელექტუალური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობის გამოყენებისთვის, პროდუქციის მიწოდებასა და მოთხოვნაში წარმოქმნილ ვიწრო ადგილებზე სწრაფი რეაგირებისათვის; მეოთხე, სრულიად გამორჩეულია მისი როლი თავისუფალი კონკურენტული ბიზნესგარემოს ჰარმონიზაციის თვალსაზრისით; მეხუთე, ეკონომიკის ეს სექტორი ქმნის მომსახურების, საცალო ვაჭრობის ,ცალკეული წარმოების დეტალებისა წარმოებისა და მიწოდების ეფექტიანი სეგმენტები; მეექვსე, ადგილის შერჩევის სიმარტივე“. (შურღაია, 2010: 83-84)

მცირე ბიზნესზე ჩვენ მიერ განხილული მეცნიერთა შეხედულების განზოგადებით შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც განპირობებულია:(Шулус, 2007: 87)

- წარმოების პროცესების ხასიათით;
- მართვისა და წარმოების სპეციფიკით;
- ცალკეული კომპონენტების მდგომარეობით;
- გარე ფაქტორების ზემოქმედების თავისებურებებით.

მცირე საწარმოებისათვის დამახასიათებელ პირველი ჯგუფის ნიშან-თვისებებს მიეკუთვნება:

1. გამოყენებული წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიური პროცესების შეზღუდვები;
2. გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის სიმცირე, ე. ი. ვიწრო სპეციალიზაცია;
3. გასაღების სისტემის სიმარტივე.

მეორე ჯგუფის სისტემის ნიშან-თვისებებია:

1. საკუთრებისა და წარმოების უშუალო წარმოების უფლების ერთიანობა;
2. გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე.

მესამე ჯგუფის ნიშნებია:

1. მესაკუთრესა და მუშაკებს შორის ურთიერთობის ხასიათი;
2. მცირე ნოვაციებისადმი მოქნილი დამოკიდებულება:
3. გამოყენებული ფინანსური რესურსების მცირე მასშტაბები;
4. კაპიტალის სწრაფი წრებრუნვა;
5. ოჯახური და ნათესაური კავშირების გავლენა საკადრო პოლიტიკაზე

მეოთხე ტიპის ნიშან-თვისებებს შეადგენს:

1. რესურსებისა და გასაღების ბაზრების არსებობის ლოკალურობა;
2. მსხვილი და საშუალო საწარმოების სისტემაში წამყვანის მდგომარეობა;
3. ძლიერი დამოკიდებულება სახელმწიფო მხარდაჭერაზე.

ცხრილი 1.2.1

მსხვილ, მცირე და საშუალო საწარმოთა მახასიათებლების ურთიერთშედარება

საწარმოს მართვა	
მენეჯერებით მართვა	საწარმოს მართავს მესაკუთრე
საწარმოს მართვის პროფესიული ცოდნის ქონა	საწარმოს მართვაში პროფესიული ცოდნის ნაკლებობა
სპეციალისტების მაღალი დონის ტექნიკური მომზადება	ტექნიკური პროფილის ზოგადი განათლების ქონა
დელეგირების პრინციპით მართვა	პატრიარქალური ხელმძღვანელობა
ინფორმაციული უზრუნველყოფის აწყობილი ფორმალური სტრუქტურა	არასაკმარისი ინფორმაციის ქონა
საწარმოოს მართვა წარმოების პროცესზეა ორიენტირებული	მართვა მომსახურების გაწევაზეა ორიენტირებული
ხშირია გუნდური გადაწყვეტილებები	გუნდური გადაწყვეტილებები თითქმის არ გვხვდება
ყველაფერი ექვემდებარება დაგეგმვას	დიდ როლს თამაშობს ინტუიცია
ადგილი აქვს შრომის პროფესიული დანაწილების მაღალ დონეს	შრომის დანაწილება ეხება მხოლოდ ცალკეულ პროფესიებს
უშუალო წარმოებიდან დიდ დაშორებას აქვს ადგილი	მაღალია წარმოებაში უშუალო მონაწილეობა
შეცდომების გამოსწორების კარგი შანსი არსებობს	მცირეა შეცდომის გამოსწორების შანსი
არის ხელმძღვანელის კადრების შეცვლის შესაძლებლობა	არ არის ხელმძღვანელი კადრების შეცვლის შესაძლებლობა

წყარო: ხ. პიხლერის შეხედულებები მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში, მოსკოვი, 2002.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ'' მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ'' საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, რომელთაც გაბატონებული მდგომარეობა არ ეჭირათ დარგში, ხოლო მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობა ცალკეული დარგების მიხედვით იყო შემდეგნაირი.

ცხრილი 1.2.2

დარგი	მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა
მრეწველობა და მშენებლობა	50
ტრანსპორტი	40
მეცნიერება და სამედიცინო მომსახურება	30

წყარო: დ. ჯაფარიძე, საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2012.

1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა

და SWOT ანალიზი

მცირე და საშუალო ბიზნესში 4 ფუნქციას ასახელებენ. ესენია:

- საზოგადოებრივი-პოლიტიკური ფუნქცია;
- კონკურენციულ-პოლიტიკური ფუნქცია;
- სტრუქტურულ-პოლიტიკური ფუნქცია;
- დასაქმებით-პოლიტიკური ფუნქცია.

საზოგადოებრივი-პოლიტიკური ფუნქცია ხშირად კავშირების ან პოლიტიკოსების მიერ სახელმწიფო დახმარების მოთხოვნების დასაბუთებულად გამოიყენება, ამიტომ სწორედ ამ სფეროშია მნიშვნელოვანი აღნიშნული მეწარმეობის, პოლიტიკის

განმსაზღვრელ „საზომ“ სიდიდეებზე ორიენტირება. ასეთ ინდიკატორად გამოიყენება მათი კვოტა. ამ თვალსაზრისით სასურველია რაც შეილება ბევრმა მოქალაქემ აღიქვას ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება და ამგვარად, თავისი წვლილი შეიტანოს ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში. ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და პიროვნული თავისუფლების „სივრცეების“ აღქმა განსაკუთრებული ზომით, დამოუკიდებელ მეწარმეს მიეწერება, ვინაიდან ის არა მხოლოდ პიროვნულად, არამედ, აგრეთვე ეკონომიკურად სხვათა პასუხისმგებლობიდან თავს აღწევს, ძალაუფლების რაღაც ნაწილს იღებს და საკუთარი განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

კონკურენციულ-პოლიტიკური ფუნქცია ბაზრის ყოველი სუბიექტის თავისუფლება თვითონ გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მეწარმეობა, დიდად არის დამოკიდებული კონკურენციის ქმედუნარიანობაზე, რადგან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ხშირად დეგრადაციის ტენდენციებს ავლენს, ამიტომ მეწარმე სისტემის პოლიტიკურ ჩარჩოს უნდა დაეყრდნოს. კონკურენციის სამი იერარქიულად მოწესრიგებული განზომილებაა:

- ბაზრის სტრუქტურა;
- მიმწოდებლების მოქმედება ბაზარზე;
- ბაზრის შედეგი.

მცირე და საშუალო საწარმოებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის სტრუქტურა, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ამ საწარმოთა სიდიდეთა სტრუქტურით განისაზღვრება. ბაზრებზე კონკურენციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი შეიძლება შეგვხვდეს საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურასთან ამ ბაზრის წილთან დაკავშირებით. ასევე შესაძლებელია საწარმოთა კონკურენციის მდგომარეობის ზოგადი აღწერა, რაც, მაგალითად, შეიცნობა საწარმოთა დაარსების ან ბაზრიდან გამოსვლის მიმდინარეობით. ამასთან, კონკურენცია ცალკეულ ბაზრებზე საწარმოების სრულიად განსხვავებულ სიდიდეთა სტრუქტურებზე და საბაზრო ურთიერთობებზე შენდება. ამის მაგალითებია, სურსათით საცალო ვაჭრობა და სასტუმრო საქმიანობა.

სტრუქტურულ-პოლიტიკური ფუნქცია სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა. ამასთან განასხვავებენ:

სექტორულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებადი მოთხოვნებისა და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანას;

რეგიონალურ-სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ეკონომიკური საქმიანობის გაწონასწორებული განაწილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს.

შესაბამისად აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის მასშტაბით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცალკეულ დარგების შიგნით.

დასაქმებით-პოლიტიკური ფუნქციის ახლოს გაცნობის გარეშე შეუძლებელია, საერთოდ, დასაქმებისათვის მცირე და საშუალო საწარმოების პოზიტიური როლის შეფასება. შრომის ბაზარზე ასეთ საწარმოებს მასშტაბური ეფექტი აქვს და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნის, ვიდრე დიდი საწარმოები. თუ რამდენად ახორციელებენ მცირე და საშუალო მეწარმეები ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ტრანსფორმაციის პროცესში, ანუ ახდენს თუ არა იგი დადებით ზეგავლენას დასაქმების პოლიტიკაზე. მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოებას თან სდევს დასაქმების ზრდა.(ჰასიდი, კომსელი..., 2011: 13)

საქართველოსთან მიმართებაში მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციები უფრო დაკონკრეტებული აქვს ქართველ მეცნიერს ო. შურღაიას.

- საზოგადოების სოციალური წონასწორობისა და სტაბილური განვითარებისათვის ხელის შეწყობა;
- მსხვილ და საშუალო ბიზნესთან თანამშრომლობის გზით მატერიალური, შრომითი და ინტელექტუალური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება;
- კონკურენტული ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაცია;

- თავისუფალი ეკონომიკური სივრცის ათვისება;
- შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციოკულტურულ და სოციო-ფსიქოლოგიურ ფასეულობათა რეალიზაცია.

თანამედროვე პირობებში საქართველოში წვრილი მეწარმეობის პრიორიტეტულ ფუნქციებად უნდა იქნას მიჩნეული:

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დასაქმება;
- მოსახლეობის შემოსავლის გადიდება;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მიგრაციული პროცესების შერბილება;
- საშუალო ფენის ჩამოყალიბება.(შურღაია, 2010: 84)

მცირე და საშუალო ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა მის ღირსების სიმრავლეზეა დამოკიდებული. ასეთი ღირსებებია:

1. **მცირე საწარმოები იძლევიან ფართო შესაძლებლობებს შრომითი რესურსების ეფქტიან გამოყენებაში. რის საფუძველზეც შესამჩნევია დასაქმების ზრდის საყოველთაო პროცესი.** განვითარებული ქვეყნების ამ სფეროში მომუშავეთა ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 75-80%-ია.
2. **განსაკუთრებულია მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების როლი ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში.** ასეთ ლოკალური მნიშვნელობის საწარმოებში ისინი ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების მაღალ დონეს უზრუნველყოფენ. როგორც ცნობილია, მცირე მასშტაბის ადგილობრივი რესურსების პირობებში, მსხვილი საწარმოების შექმნა ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი. სხვა რაიონებიდან ამ რესურსების გადმოტანა კი მნიშვნელოვნად ზრდის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს.
3. **მცირე ბიზნესის ერთ-ერთი უპირატესობა გახლავთ ის რომ მოთხოვნების მერყეობის პირობებში იგი გაცილებით სწრაფად და უკეთესად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე, ვიდრე მსხვილი საწარმოები.** როდესაც ბაზარზე

იზრდება და მცირდება ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნა, მსხვილ საწარმოებს უჭირთ მყისიერი რეაგირება. მცირე საწარმოებისთვის, გაცილებით უფრო მარტივია, ტექნოლოგიური ხასიათის გარდაქმნების განხორციელება და იმ პროდუქციის წარმოების გადიდება.

4. **მცირე ზომის საწარმოებს თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, გაცილებით უფრო უადვილდებათ ბაზრის საკუთარი სეგმენტის დაკავება.**
5. **მცირე ბიზნესი გაცილებით მოქნილი და ოპერატიულია სამეურნეო საქმიანობაში. მას შეუძლია სისტემატურად გააფართოვოს მოთხოვნების კარგად დაკმაყოფილების შესაძლებლობები.** ჩამოაყალიბოს მომხმარებელთა შედარებით სტაბილური კონტინგენტი და მიაჯაჭვოს მცირე საწარმოთა პროდუქციის ბაზარს.
6. **მცირე ზომის საწარმოებს, ხშირად ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის და „ნოუ-ჰაუს“ მეტი შესაძლებლობები აქვს.** განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი მასშტაბები არც თუ ისე დიდია და არ მოითხოვს დიდი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. ძვირადღირებული ახალი ტექნიკის შეძენასა და სხვა კაპიტალური ხასიათის რეორგანიზაციას. ასეთ ღონისძიებებს მცირე სიდიდის საწარმოები მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით ახორციელებენ.
7. **მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები, როგორც წესი ლოკალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მუშაობენ და შედარებით, სტაბილური კლიენტურის პირობებში, უფრო მეტად ცდილობენ მომსახურების კულტურის ამაღლებას, მომხმარებელთა კონტიგენტის შენარჩუნებასა და მის გაფართოებას.** ეს მნიშვნელოვნად ამტკიცებს ბაზრისა და წარმოების კონტაქტებს, ამაღლებს წარმოების იმიჯს, რომელიც თავის მხრივ მცირე საწარმოებში წარმოების გაფართოების საზოგადოებრივ მხარდაჭერას და ავტორიტეტს ამაღლებას.
8. **უზრუნველყოფენ ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას და ეკონომიკურ მდგრადობას.** მცირე ბიზნესს შეუძლია, სწრაფად განაახლოს თავისი ძირითადი კაპიტალი, დააჩქაროს ტექნიკური პროგრესის მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა. მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები, დასაქმებულთა სიმცირე ხელს უწყობს

ნამდვილი შრომითი კოლექტივიზმის გრძნობის განვითარებას. (ღუდუშაური, ბალიაშვილი..., (2004: 81-83)

ცხრილი 1.3.1

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
➢ ხელსაყრელი ბიზნეს გარემო; ➢ გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები; ➢ ბიზნეს დაწყების მარტივი პროცედურები ; ➢ მთავრობა კორუფციის გარეშე; ➢ მცირე საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნესისთვის; ➢ რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი; ➢ ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები: ➢ კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა; ➢ მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობის ახალი ინსტიტუტები;	➢ სამეწარმეო უნარების და გამოცდილების ნაკლებობა; ➢ კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე ➢ დაბალი პროდუქტიულობა; ➢ გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა; ➢ ინოვაციის კვლევის დაბალი დონე; ➢ განვითარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა; ➢ ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები; ➢ ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა; ➢ უცხოური ბაზრების შესახებ დაბალი დონე; ➢ ახალი ტექნოლოგიების მაღალი ხარჯი; ➢

შესაძლებლობები	საფრთხეები

➢ ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა; ➢ კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება; ➢ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა; ➢ კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება; ➢ ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება; ➢ თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა; ➢ მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა. ➢ კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა - შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში.	➢ შესაძლო სავაჭრო ეკონომიკური ფაქტორები; ➢ ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება; ➢ პოლიტიკური არასტაბილურობა; ➢ მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე; ➢ არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები ➢ ბიზნეს საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო ბიზნესის არასაკმარისი მონაწილეობა; ➢ საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა

წყარო: საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლისთვის, თბ., 2015.

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ანალიზი საქართველოში

2.1. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობაზე საქართველოში მსჯელობა მათი რაოდენობიდან უნდა დავიწყოთ. მართალია „საქსტატი“ საწარმოთა რაოდენობას „მცირეს“ და „საშუალოს“ სტატუსით არ აქვეყნებს, მაგრამ აქვეყნებს მათი სამართლებრივი ფორმების მიხედვით. საქართველოში ინდივიდუალური საწარმოები მცირედ ან მიკროდ ითვლებიან, ხოლო სააქციო საზოგადოებები - მსხვილ საწარმოებად, ყველა დანარჩენი სამართლებრივი ფორმის საწარმოები უნდა ჩავთვალოთ საშუალოდ.

უახლესი მონაცემებით, თუ შედარებას გავაკეთებთ 2015 წელთან 2019 წლის მონაცემების სტატისტიკას საწარმოთა რეგისტრაციის შესახებ, სხვაობა საკმაოდ დიდია.

2015 წელს საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წლების მიხედვით 566.6 ხოლო 2019 წელს 727.8, მათ შორის მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 2015 წელს 158.0, ხოლო 2019 წელს 176.7, ახალ დარეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 44.0, ხოლო 2019 წელს 49.6-ია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020)

ეს ინფორმაცია ეხება მხოლოდ დარეგისტრირებულ საწარმოებს. ამ დარგის ექსპერტების ვარაუდით, რეგისტრირებული საწარმოთა 60–70% არ მუშაობს. იქმნება

ეჭვი, რომ ეს სპეციალურად კეთდება, რადგან ქვეყნის მოსახლეობაში არ ჩამოყალიბდეს ბიზნესისადმი კიდევ უფრო ნეგატიური განწყობა, ვიდრე დღეს არის.

საწარმოთა დარეგისტრირება რომ იზრდება ეს ფაქტია. ეს ხდება იმიტომ, რომ ბიზნესის კეთების სიადვილით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი გვიკავია მსოფლიოში. რეგისტრაცია თვითმიზანი არ არის. რეგისტრაციას უნდა მოჰყვეს ბიზნესის ამუშავება. ჩემი აზრით საქართველოში ამ პროცესს ხელი ეშლება შემდეგი მიზეზებით:

1. ადამიანებში გამომუშავებულია ხელის შემყურის პოზიცია. მაშინაც, კი როცა ადამიანი ბიზნესს იწყებს ელოდება სახელმწიფოსგან დახმარებას.
2. არ არის საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სათანადო მხარდაჭერა.
3. არსებობს უიმედობის, გაურკვევლობის და წარუმატებლობის შიში.

სახელმწიფოს ხელში ყურებას და მისგან სარჩოს მიღებას, ჩვენ სოციალისტური სისტემის ცხოვრების დროს მივეჩვიეთ. ამ სისტემაში ჩვენ 70 წელი ვიცხოვრეთ და უნდა გვცოდნოდა, რომ ამ სტერეოტიპის დამსხვრევა არ იქნებოდა სწრაფი და მარტივი. ჩვენ უკვე 30 წელიწადია საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით და ამის მიუხედავად, ყოველი 5 გამოკითხულიდან 3-4 გეტყვით, რომ მის უმუშევრობაში და სიღატაკეში სახელმწიფოა დამნაშავე.

ქართველი მეცნიერი თ. აქუბარდია -„საზოგადოების უდიდესი ნაწილი, წარსული სტერეოტიპებიდან ვერ განთავისუფლდა და სახელმწიფოსგან მოითხოვს სამუშაო ადგილების შექმნას, ქარხნების ამუშავებას, ხელფასების და პენსიების დაუყოვნებლივ გაზრდა. რაც უფრო მალე განთავისუფლდება სახელმწიფო ხელის შემყურის პოზიციებიდან, მით უფრო მალე დაიმკვიდრებს ცნობიერებაში, რომ შენც უნდა გაანძრიო ხელი“(აქუბარდია თ., 2005: 9).

სრულიად ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ, ამ სფეროში ერთი საიმედო წინსვლა ნამდვილად არის. თუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში მთელი

მოსახლეობა იყო სახელმწიფოს შემყურე, ამჟამად მას სავარაუდოდ 25-35% მოაკლდა და ისინი საკუთარ საქმეს შეუდგნენ.

მცირე და საშუალო ბიზნესის არასათანადო განვითარების მეორე მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ხელშეწყობის არქონაა როგორც ვიცით, გართულებულია იაფ ფინანსურ რესურსზე წვდომა. მართალია 2012 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა მიკრო და მცირე საწარმოთა სტატუსის დადგენაში და მათ დაბეგვრაში შეღავათების მიცემაში. პროგრამები „იაფი კრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“ და სხვა, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე კარგი იქნებოდა იმ შეღავათის აღდგენა, რომელიც მოქმედებდა საქართველოში 1991-1996 წლებში და რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის დაჟინებული მოთხოვნით იქნა გაუქმებული 1997 წელს. ეს ეხება ახლად გახსნილ საწარმოს მიერ პირველი ორი წლის განმავლობაში გადასახადიდან გათავისუფლებას. ჩემი აზრით ამ შეღავათის აღდგენა აუცილებელია, რადგან, როგორც ცნობილია ამერიკაში საწარმოებს დიდი შეღავათები აქვთ მიცემული. სტატისტიკურად ყოველწლიური ახლად გახსნილი 10 საწარმოდან პირველი წლის განმავლობაში 6 კოტრდება. თუ ეს ამერიკაში ხდება რომელიც პერსპექტიულად ჩვენზე გაცილებით წინაა, ჩვენთან რა შეუშლის ხელს - გაკოტრების ალბათობა ჩვენთან მეტი იქნება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობის მეორე მიზეზი არის სამეწარმეო უუნარობა. საქართველოსთან, კერძოდ, ქართველებთან მიმართებაში ეს საკითხი ისეთივე სადისკუსიოა, როგორც მთელ მსოფლიოში. ადამიანები სიღატაკეში აღმოჩნდნენ უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრის მიუხედავად. აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი იყო ადამიანთა დეპრესიული ეკოლოგიურ-ფსიქოლოგიური განწყობა. დადგინდა, რომ ადამიანებს ბიზნესში აქტიურობისკენ უბიძგებს სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივაცია, მისწრაფება, იყოს თავისი ბედის ბატონ - პატრონი.

მაშასადამე, ადამიანში სამეწარმეო უნარის გამომჟღავნებას გარკვეული მოტივაცია სჭირდება. თუ ეს მოტივაცია არ არსებობს, ამის გარეშე ეს უნარი ადამიანებში მუდმივად ჩამქრალი იქნება. ქართველები არც უნიჭო ხალხი ვართ და არც უმოტივაციო, მაგრამ,

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგერ უკვე 30 წელია ვადგავართ საბაზრო ეკონომიკის გზას და მეწარმეობა მაინც სათანადოდ ვერ განვავითარეთ, რომლის მიზეზი ის არის, რომ ქვეყანაში არ არის ბიზნესის ხელშემწყობ, ბიზნესმენის მასტიმულირებელი მოტივაცია.

სწორედ იმიტომ რომ მცირე და საშუალო ბიზნესს არა აქვს სათანადო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საქართველოში, იგი სათანადოდ ვერ განვითარდა და აგერ უკვე 30 წელია ვდგავართ საბაზრო ეკონომიკის გზას და ვერც საბაზრო ეკონომიკა ვერ ჩამოვაყალიბეთ და ვერც სიღარიბიდან გამოვედით. ამის მიზეზი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის არასათანადო განვითარებაა.

ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განსხვავებული კრიტერიუმების მრავალფეროვნების მიუხედავად პრაქტიკაში მეწარმეობის სუბიექტებს უმთავრესად მომუშავეთა რიცხოვნობისა და ბრუნვის მიხედვით აჯგუფებენ. ასე, მაგალითად, მომუშავეთა რიცხოვნობიდან გამომდინარე მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები ხუთ ჯგუფად იყოფა:

1.უმცირესი საწარმოები (1-24 მუშაკი),

2. მცირე საწარმოები (25-99 მუშაკი)

3. გარდამავალი საწარმოები (100-499 მუშაკი)

4. მსხვილი საწარმოები (500-999 მუშაკი)

5. უმსხვილესი საწარმოები (1000 და მეტი მუშაკი)

დიაგრამა.2.1.2

ბიზნეს-სექტორის ბრუნვის მაჩვენებელი საწარმოთა

ზომების მიხედვით 2019 წელს



წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

2019 წელს მთლიანი ბრუნვის 17.4 პროცენტი- მოდის საშუალო საწარმოებზე, ხოლო 28.1 პროცენტი-მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

2019 წლის განმავლობაში მცირე ბიზნესზე-6.200 მილიონი ლარია ბრუნვაში მოქცეული, ხოლო საშუალო ბიზნესზე 4 000 მილიონი ლარი.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: საშუალო ბიზნესზე - 24.8 % პროდუქცია წარმოებული, ხოლო მცირე ბიზნესზე - 39.9 %.

დიაგრამა 2.2.2

ბიზნეს სექტორის პროდუქციის მთლიანი გამოშვების მაჩვენებლები

საწარმოთა ზომების მიხედვით 2019 წელს



წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: საშუალო ბიზნესზე - 24.8 % პროდუქცია წარმოებული, ხოლო მცირე ბიზნესზე - 39.9 %.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვამ 2019 წელს 14,4 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13,3 %-ით მეტი) ხოლო გასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვამ - 8,8 მილიარდი ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,7%-ით მეტი)

2019 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 663,8 ათასი კაცით განისაზღვრა. რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4,2 %-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42,3 % ქალია ხოლო 57,17 % კაცი.

დიაგრამა 2.2.3

ბიზნეს-სექტორის დასაქმებულთა

რაოდენობის სტრუქტურა 2019 წელს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

დიაგრამები მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. როგორც ცნობილია სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 2019 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს სხვადასხვა დარგის მიხედვით განსხვავებული პროცენტული წილი ეკავათ. ყველაზე მაღალი პროცენტული წილი ეკავათ საბითუმო და საცალო ვაჭრობას- 27%, დამუშავებული, შემდეგ დამამუშავებელი მრეწველობა-12%,

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება-11%, მშენებლობა-9%,ტრანსპორტი-8%,საკვების მიწოდება-6%. დარგები რომლებიც მითითებული არ გვაქვს დიაგრამაში, მათი ხვედრითი წილი 27%ია.

ცხრილი.2.2.4.



წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

2.2.3 დიაგრამაში ჩვენ გამოკვლეული გვქონდა დასაქმებულთა ხვედრითი წილი სხვადასხვა დარგების მიხედვით, ხოლო დიაგრამა 2.2.4 - ში კი მხოლოდ ბიზნესის სფეროში. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.9% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20,6% - საშუალოზე, ხოლო დანარჩენი 42.5%-მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 619.4 ათასი კაცი შეადგინა(გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით- 2,6%-ით მეტია). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 183.5 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,3% მეტი)

2019 წლის კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 115.9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთა შედარებით გაზრდილია 45.5ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 934.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 93.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი - 1 205.6 ლარი,
- საშუალო ბიზნესი - 1 291.2 ლარი,
- მცირე ბიზნესი - 1 017.0 ლარი.

საქართველოში მცირე საწარმოთა მასშტაბების განსაზღვრა სხვადასხვა პერიოდებში მნიშვნელოვნად იცვლებოდა, 2002 წლის 4 ივლისის მონაცემებით საქართველოს კანონით „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა წვრილი მეწარმეობის პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნა საქართველოს ტერიტორიაზე „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით შექმნილი ყველა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს: მცირე საწარმოებისათვის - 20 დასაქმებულსა და 500 000 ლარს; საშუალო საწარმოებისათვის 100 დასაქმებულსა და 1500 ლარს.

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის გარემო საქართველოში და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდეციები უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოსთან. “ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესზე, რადგანაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. 2004 წელს დაწყებულმა რეფორმების ტალღამ შეამცირა საგადასახადო ტვირთი და აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები. დღეისთვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა. ასევე, გამოწვევად რჩება გადახდის

უუნარობასთან და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. არსებული სირთულეები, საერთო ჯამში, აუარესებს სამეწარმეო გარემოს ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად ეფექტიანს ხდის ადგილობრივ ბიზნესს.“

ქვეყანაში ,,ease of doing business“ მონაცემების დაყრდნობით ჯერ კიდევ 2008 წელს საქართველოში ბიზნეს გარემომ მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის მე-18 ადგილი დაიკავა. ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით, 2014 წელს კი მე-15 ადგილზე დაწინაურდა.2016-ში, რომელიც 2015-წლის მონაცემებს ეყრდნობა საქართველო 189 ქვეყნიდან 24-ე ადგილს იკავებს. (index of economic freedom, 2015 .2)

საქართველოს მთავრობა და მისი ინსტიტუციური სტრუქტურები მუშაობენ ბიზნეს და ინვესტიციური გარემოს გასაუმჯობესებლად, მაგრამ არ ცოდნით თუ შემთხვევითი შეცდომით მატ რაღაც საკითხები მოუგვარებელია. მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ მცირე და მიკრო საწარმოებს გადასახადის სპეციალური რეჟიმები დაუწესდათ და 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების დაბეგვრის ესტონური მოდელიც ამოქმედდა , საგადასახადო კოდექსის სრულყოფა მაინც პრობლემაა. განსაკუთრებით სამი საკითხია მნიშვნელოვანი:

1.დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების შემოღებით მცირე საწარმოს დაბეგვრა ბრუნვის 5%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 20%-იანი დაბეგვრისა არავითარ მნიშვნელოვან შეღავათს არ აძლევს მცირე საწარმოს მაგალითად, თუ მცირე საწარმოს ბრუნვა 90 000 ლარია ახალი რეჟიმის პირობებში იგი გადაიხდის 90 000/100*5%=4500ლარს, ძველი რეჟიმის პირობებში თუ ის შემოსავლის(მოგების) საშუალო ნორმის (15%) პირობებში მუშაობდა, იხდიდა 20%-ს ანუ 90 000/100*15%=13 500; 13 500/100*20%=2700ლარს.მცირე საწარმოების დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი სასურველი იყო არა ბრუნვის 5%-ით, არამედ ისე როგორც აზერბაიჯანშია, ბრუნვის 2%-იან გადასახადით დაბეგრილიყო.

2.დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები არ შეხებია საშუალო სიდიდის საწარმოებს, არადა საქართველოში საწარმოთა საერთო რიცხვში მათ 30.2% უკავიათ.

3.მოგების დაბეგვრის ესტონური მოდელით სარგებლობას ძირითადად მისცემს მსხვილ საწარმოებს, რადგან მათ აქვთ დიდი მოგება და მისი რეინვესტირებით და ისინი დიდ სარგებელს მიიღებენ. საშუალო და მცირე საწარმოების მოგება არ არის მნიშვნელოვანი და მისი რეინვესტირება მათ ბანკის სესხის საჭიროებას ვერ მოუხსნის (გოგიაშვილი, 2009: 51-53)

საქართველოში მეწარმეების ხელისშემშლელი ფაქტორია საგადასახადო კანონმდებლობის ხშირად ცვლას და მის მძიმე ტვირთს ასახელებენ „საგადასახადო ტვირთი“ - წერს მეცნიერი თ. როსტიაშვილი. უფრო მტკივნეულია მცირე მეწარმეებისთვის, რადგანაც მათ სწორედ სახელმწიფო მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით შედარებით მაღალი ხარჯების გაწევა უხდებათ, რის გამოც, საჭიროა მოვახდინოთ მათი დანახარჯების კორექცია“.(როსტიაშვილი, 2013: 167-168)

მე ვეთანხმები მეცნიერ თ. როსტიაშვილს და მიმაჩნია, რომ ამ ღონისძიებით ჩვენ მათ პირობებს გავათანაბრებთ. მაგალითად, ყველა საწარმო - მცირეც, საშუალოც და დიდიც დარეგისტრირებულად იხდის 107 ლარს. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა არ არის სწორი. მართალია, ეს თანხა უმნიშვნელოა, მაგრამ იგი უნდა იყოს დიფერენცირებული საწარმოთა სიდიდის მიხედვით.

საქართველოს ბიზნესგარემოს დიდი ნაკლია ძლიერი „ინკუბატორის“ პროგრამების არ არსებობა. ეს ის სტრუქტურებია, სადაც მეწარმეებმა უნდა ისწავლონ სამეწარმეო საქმე ბიზნეს-რისკების მართვა, თავისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ქვეყნისა და ერის წინაშე. ჩემი აზრით, მცირე და საშუალო მეწარმეობა საქართველოში რომ ვერ ვითარდება, ამის მიზეზი არასათანადო გარემო პირობები, პირველ რიგში კი არასათანადო სახელმწიფო მხარდაჭერა.

საქართველოს საზღვრები, იშვიათად გამონაკლისის გარდა, მთებზე გადის. დღესდღეობით სოფლების უმეტესობა დაცლილია უპერსპექტივო მომავლის გამო. ჩემი აზრით, საჭიროა მთავრობამ სოფლებში მყოფი მოსახლეობა დავასაქმოთ ან მოვაწყოთ საწარმოები მცირე მეწარმის სტატუსით სადაც მუშაობას შეძლებენ. ეს აუცილებელია გავაკეთოთ საქართველოს ყველა რაიონში და სოფელში და ადგილობრივ მოსახლეობას

მიეცეს მათი დასაქმების შესაძლებლობა. მხოლოდ ეს გადაარჩენს საქართველოს სოფლებს მოსახლეობის დაცლისგან და გამოიყვანს მათ უკიდურეს გაჭირვებიდან

დღეს საქართველო ისეთივე კრიზისულ პერიოდშია, როგორც, სხვა ქვეყნები. საქართველოს ფინანსურმა სექტორმა, რომლის მოგებამ ზღვარი არ იცის, უკიდურეს გაჭირვებაში ჩააყენა ისედაც გაღატაკებული მოსახლეობა. ბიზნესმენები ხედავენ ფინანსური სექტორის მაღალ მოგებას, ორიენტირებას სწორედ ამ სფეროზე იღებენ და არა წარმოებაზე. მაგალითად 2018 წელს 2014 წელთან შედარებით საქართველოს ფინანსურ სექტორში 6479-ით მეტი ორგანიზაცია (ლომბარდები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები , მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სხვები) გაიხსნა, სოფლის მეურნეობაში კი მხოლოდ 999 ერთეულით მეტი.

სპეციალისტები წერენ, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ადგილი აქვს წარმოების როლის გააქტიურებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, რადგან ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს მინიმალურ დონეზე მაინც უნდა იკმაყოფილებდეს. ასეთ დროს საქართველოში სწორედ წარმოების სექტორი, განსაკუთრებით აგრარული სექტორი კატასტროფულად ჩამორჩენილია. ჩემი აზრით „საქართველოს აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიდა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გარკვეულწილად დაკმაყოფილება“. საქართველოში კვების პროდუქტების 80-90% იმპორტირებულია. თუ ჩვენ მოვახერხებთ იმპორტ ჩანაცვლებას გაცილებით უკეთეს შედეგს მივიღებთ ქვეყანაში.

ჩემი აზრით, მეწარმეები, კერძო მცირე და საშუალო მეწარმეები უნდა შემოვაბრუნოთ წარმოების სექტორისკენ. ეს არა მხოლოდ ჩემი აზრია. იგივე აზრს გამოთქვამს პროფესორი ლ. ქადაგიშვილი, როცა წერს: “ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია მისი რეალური სექტორის, განსაკუთრებით მრეწველობის დარგის განვითარების გარეშე“.(მეწარმეობის განვითარება საქართველოში, 2016:69.)

ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებით, საგადასახადო შეღავათებით და ა. შ. აღვნიშნავთ იმასაც, საწყის წლებში მნიშვნელოვნად შეამცირებს საქართველოს ბიუჯეტს, და ეს იქნება მისი უარყოფითი შედეგი, მაგრამ

სამაგიეროდ, ადგილობრივი, სამამულო წარმოება ‘[განვითარდება და საქართველოს მოსახლეობა დასაქმდება. ამასთან, გადასახადებისგან განთავისუფლება მხოლოდ ერთი ორი წელი იქნება საჭირო. ერთი სიტყვით, საქართველოს აგრარულ და სამრეწველო სექტორში ბიზნეს-გარემო კარდინალურად უნდა შეიცვალოს. ეს უნდა გააკეთოს სახელმწიფოს მთავრობამ. სპეციალისტები წერენ და მეც ვემხრობი მათ, რომ მანამ სანამ საქართველოს ეკონომიკა არ გაძლიერდება და მოსახლეობის უმუშევრობა და სიღატაკე არ დაიძლევა, ქვეყნის მთავრობას არა აქვს უფლება საზოგადოება, მისი ბედი და იღბალი ბაზრის სტიქიურ ძალებს „მიუგდოს“ და სოციალურად არ დაიცვას იგი. ამას კი იგი შეძლებს თავისი ეკონომიკური ძალის ზრდით, რომელიც უნდა გამოიხატოს წარმოების სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური განვითარებით.

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის მიმდინარე გამოწვევები

3.1.რა პრობლემები შეუქმნა მცირე და საშუალო ბიზნესს მიმდინარე გამოწვევამ

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული დავადება (kovid-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში. დაავადების სწრაფი გავრცელების შედეგად, ათასობით ადამიანი დაიღუპა, იზოლაციის და კარანტინის გამო დაიხურა საზღვრები, უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მძიმედ პანდემიამ ღარიბ მოსახლეობას დაარტყა და კიდევ უფრო გაზარდა სიღარიბე და უთანასწორობა.

კოვიდ-19-მა არა მხოლოდ შეცვალა საზოგადოების ქცევა, შეხედულებები და ყოველდღიური რიტმი, არამედ ძირეულად გარდაქმნა ბიზნესის როლი და მისი კეთების მეთოდები. გარემო, რომელიც გვქონდა ვირუსამდე და გვაქვს ვირუსთან ერთად ფუნდამენტურად განსხვავებულია. კოვიდ 19-ით გამოწვეული ნიშნულები უპრეცედენტო ნიშნულს აღწევს, თუმცა პანდემიის გავლენა ბიზნესზე ჯერ კიდევ დეტალური შეფასების მიღმაა და ეჭვგარეშეა, რომ შემდეგი ორი-სამი წლის მანძილზე გაგრძელდება განცხადებები, ანალიზი და განმარტებები მიღებული დანაკარგების შესახებ. კრიზისმა მოიცვა ყველა ინდუსტრია, სფერო თუ დარგი და სამწუხაროდ ბიზნესში დღეს გაურკვევლობა უფრო მეტად ჭარბობს ვიდრე გარკვეული მოლოდინები, რომლებიც უფრო მეტი საფრთხის შემცველია ვიდრე არსებული დანაკარგები.

თვალსაჩინოა, პირდაპირი გავლენა კორონავირუსის პანდემიამ იქონია იმით, რომ დაირღვა მარაგის მიწოდების ჯაჭვი. ვირუსის ჩინეთში წარმოშობამ და დაინფიცირებულთა რიცხვის სწრაფმა მატებამ იძულებული გახადა მოსახლეობა გადასულიყო კარანტინში, რამაც გამოიწვია იმ კომპანიების და საწარმოების ნახევარ-განაკვეთზე გადასვლა ან სრულად დახურვა, რომლებსაც იყენებდნენ წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები საკუთარი პროდუქტის საწარმოებლად

კორონავირუსის გავრცელებამ გამოიწვია მრავალი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური კონფერენციების გაუქმება .რაც სავარაუდოდ გამოიწვევდა სამომავლო

თანამშრომლობის დაკარგვას. რამდენიმე კომპანიამ გადადო დაგეგმილი ღონისძიებები, ხოლო ნაწილმა საერთოდ გაუქმა. მაგალითად, Google-მა გადაიყვანა google cloudis-ის ღონისძიება ონლაინ რეჟიმზე. სწორედ ონლაინ რეჟიმით ვმუშაობთ დღეს. ონლაინ რეჟიმზე მოუწიათ გადასვლა ზოგიერთ მცირე და საშუალო მეწარმეებსაც .მართალია ყველა ბიზნესს არ შეუძლია ფუნქციონირება ციფრულ სივრცეში, თუმცა წარმატებას ისეთი ბიზნესები აღწევენ, რომლებიც უკეთ ფლობენ ციფრულ სივრცეს. საბოლოოდ მთავარი ტექნოლოგიური ღონისძიებების გაუქმებამ 1 მილიარდი დოლარის დანაკარგი გამოიწვია. ონლაინ ალტერნატივები გვეხმარება შევამციროთ გაუქმებული ღონისძიებები

მასალა ამოვიღე ინტერნეტ საიტიდან სადაც კვლევა ჩატარებულია ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით 2020 წლის მარტის და აპრილის თვეში ონლაინ გამოკითხვის მეთოდით ინფორმაცია კვლევის შესახებ, სხვადასხვა არხის გამოყენებით, დაეგზავნა საქართველოში რეგისტრირებულ მიკრო, მცირე და დიდი ზომის კომპანიებს. კვლევაში მონაწილეობდა 1938 კომპანია, რომლებმაც სრულად შეავსეს კითხვარი. კვლევაში წარმოდგენილია პასუხები კითხვებზე, რომელიც უკავშირდება ბიზნესის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მიმდინარე ლიკვიდობას და მათ პროგნოზებს პანდემიის სამომავლო შედეგებზე. კვლევაში არ არის 100%-იანი შედეგი რადგანაც საშუალება ქონდათ თითოეულ მეწარმეს რამდენიმე პასუხი აერჩიათ.

მოთხოვნის შემცირება არის კოვიდ_19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი მოვლენა. მოთხოვნის შემცირებამ გამოკითხული საწარმოების უმეტესობაში უკვე გამოიწვია 50%-ით მეტი შემოსავლის შემცირება. ყველაზე მეტად დაზარალდნენ რესტორნები და სასტუმროები, რომელთა 75%-ზე მეტმა განიცადა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება. მოთხოვნების შემცირებამ, კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადახდებმა კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა გამოიწვია. გამოკითხული კომპანიების 28%ს უკვე შექმნა არსებულ ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით, მხოლოდ გამოკითხულთა 15% გეგმავს შემცირების გარეშე ლიკვიდობას.

პანდემიის გავრცელებასთან ერთად კომპანიების უმეტესობა დამატებითი დაფინანსების გამოწვევის წინაშე დადგა. გამოკითხულთა 79%-ს ესაჭიროება დამატებითი დაფინანსება, თუმცა გამოკითხული კომპანიების 85%-ს ჯერ არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად. ინსტიტუტებმა რომელთაც მიმართეს დაფინანსების მოსაპოვებლად ფინანსურ ინსტიტუტებს მათგან 42% მიიღო დაფინანსება, 36% ელოდება პასუხს ბანკის მხრიდან, ხოლო 22%-ს ეთქვა უარი დაფინანსებაზე.

აღსანიშნავია მოლოდინების განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. გამოკითხულ კომპანიებს შორის რეგიონში მომუშავეები ნაკლებად ელოდებიან შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნას- 44% რეგიონებში და 51% თბილისში. მსგავსი სხვაობაა ასევე თანამშრომლების რაოდენობის შემცირების გეგმასთან დაკავშირებით- რეგიონების კომპანიების 45% არ გეგმავს თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, თბილისში მომუშავე კომპანიების 37% - თან შედარებით.

კვლევის თანახმად ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა შეკვეთების შემცირება ან გაუქმებაა(10,2%),ასევე სახელდება გაყიდვები, მათ შორის ექსპორტი(11%).ამასთან, ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიების უმრავლესობა (გამოკითხულთა 5,3% იყო ტურისტული კომპანიები) სრულად გაუუქმდათ ჯავშნები. რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ნედლეული საგრძნობლად გაძვირდა, აღარ არის ხელმისაწვდომი ან მათი შესყიდვა შეფერხდა (11,5%), რაც გაცვლითი კურსის ცვლილებით და გაძვირებული იჯარის პირობებში (6,3%) პირდაპირ აისახება წარმოებაზე და წარმოებული პროდუქტის ფასზე. გამოკითხულთა (15,1%) ფიქრობს, რომ ბიზნესის მდგრადობისთვის, სახელმწიფომ დროებით უნდა შეამციროს, ან საერთოდ გააუქმოს გადასახადები. მეწარმეების ნაწილს აქვს პრობლემა სესხებთან და თვლიან, რომ უნდა უზრუნველყონ შეღავათიანი სესხი (12%), არსებული სესხის გადავადება ან სუბსიდირება (5%). ნაწილი კი თვლის , სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელებას შეზღუდვების გარეშე (14,8%) და გაცვლითი კურსის სტაბილურობას (7,9%).(ქართული კომპანიები კოვიდ 19-ის გამოწვევის წინაშე, 2020).

ცხრილი:3.1.1

რა სირთულეებს აწყდება თქვენი კომპანია?

გამოკითხული კომპანიების 65%-ი მთავარ გამოწვევად მოთხოვნის შემცირებას მიიჩნევს.

	თვით დასაქმებული	მიკრო 2-9 დასაქმებული	მცირე 10-49 დასაქმებული	საშუალო 50-249 დასაქმებული.	დიდი 250ზე მეტი	ყველა ბიზნესი
მოთხოვნის შემცირება	66%	66%	60%	69%	70%	65%
შეფერხება მიწოდების ჯაჭვში	30%	31%	35%	40%	27%	33%
თანამშრომლების გაშვება დაუგეგმავ შვებულებაში	2%	13%	15%	20%	16%	12%
კარანტინის მიზეზით დათხოვნილი თანამშრომლები.	5%	16%	19%	18%	9%	15%
საზღვრების დახურვა	28%	29%	26%	27%	23%	28%
ჯანმრთელობის რეგულაციების შესრულების შეუძლებლობა	3%	5%	4%	6%	2%	4%
დაგვიანებული გადახდები კლიენტებისგან	15%	24%	30%	41%	25%	26%
ლარის კურსის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები.	29%	39%	46%	51%	50%	40%

პასუხების 10%ზე ნაკლები პასუხების 10-20% პასუხების 20%-30% პასუხების 30%-40% პასუხების 40%-50% პასუხების 50%-60% პასუხების 60%ზე მეტი.

წყარო: ქართული კომპანიები კოვიდ 19-ის გამოწვევის წინაშე, 2020

• პასუხების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე დიდ გამოწვევად მოთხოვნის შემცირებაა დასახელებული, რომელსაც მოსდევს ვალუტის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები და შეფერხება მიწოდების ჯაჭვში.

• კვლევაში დაფიქსირებული პასუხების გარდა, როგორც მნიშვნელოვანი სირთულე, კომპანიებმა ასევე დაასახელეს-კარანტინის გამო ბიზნესის დაკეტვა და ტრანსპორტის შეზღუდვა.

• სექტორული ანალიზის კუთხით, სასტუმროების და რესტორნების 49% და ტრანსპორტირების და დასაწყობების კომპანიების 41 % საზღვრების დახურვას ასახელებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას.

• სამშენებლო სექტორების საწარმოებისათვის ყველაზე დიდ გამოწვევას ლარის კურსის ცვლილება და კლიენტებისგან დაგვიანებული გადასახადები წარმოადგენდა.

• სოფლის მეურნეობის და წარმოების სექტორების წარმომადგენლებისთვის ყველაზე დიდ სირთულეს მიწოდების ჯაჭვში შეფერხება და ლარის კურსის ცვლილება დაფიქსირდა.

ცხრილი:3.1.2

კითხვა მეწარმეებთან- 2020 წლის მარტის და აპრილის თვის შემოსავალი რა რაოდენობით არის შემცირებული 2019 წლის მარტის და აპრილის თვესთან შედარებით?

გამოკითხულთა 63%-მა აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით 2020 წლის მარტსა და აპრილში მათი შემოსავალი 50%-ზე მეტით შემცირდა.

საბითუმო და საცალო ვაჭრობა	3%	2%	4%	12%	66%	12%
სასტუმროები და რესტორნები	1%	2%	7%	78%		13%
სხვა სახის	3%	2%	4%	8%	68%	15%



წყარო: ქართული კომპანიები კოვიდ 19-ის გამოწვევის წინაშე, 2020

პანდემიის დროს ყველაზე დაზარალებული სექტორია სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, რომელთა 78%-მა დაფიქსირა შემოსავლების 50%-ზე მეტით შემცირება. მას მოსდევს ტრანსპორტირების და დასაწყობების სექტორი 69%,სხვა სახის მომსახურეობა 68% და ვაჭრობა 66%.

- სოფლის მეურნეობის და წარმოების სექტორში მოქმედი კომპანიების დაახლოებით 40%-მა აღნიშნა შემოსავლის 50%ზე მეტით შემცირება, რაც შედარებით დაბალია სხვა სექტორებთან შედარებით.
- ბიზნესის მხოლოდ 5%-ს არ ჰქონია შემოსავლის შემცირება 2020 წლის მარტსა და აპრილში

კომპანიის ზომის მიხედვით რესპოდენტთა პასუხების შესწავლის მიხედვით 50%-ზე მეტით შემოსავლის შემცირება შეეხოთ მიკრო თვითდასაქმებულების (69%), შემდეგ

მიკრო (2 – 9 დასაქმებულები) კომპანიებს (64%), მათ მოსდევთ მცირე ზომის კომპანიები (60%), საშუალო ზომის კომპანიები (54%), და ბოლოს დიდი ზომის კომპანიები (52%)

ცხრილი: 3.1.3

კითხვაზე მეწარმეებს, თუ რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწიათ 2020წლის მარტსა და აპრილში?

გამოკითხული კომპანიების 44% განაცხადა, რომ 2020 წლის მარტსა და აპრილში თანამშრომლების რაოდენობა არ შეუმცირებიათ.



არც ერთი 15%-მდე 15%-დან 25%-მდე 25%-დან 50%-მდე 50%-დან 75%-მდე 75%-დან 99%-მდე 100%.

წყარო: ქართული კომპანიები კოვიდ 19-ის გამოწვევის წინაშე, 2020

- კვლევის შედეგების ანალიზიდან იკვეთება, რომ გამოკითხული კომპანიების 27%-ს სრულად (100%) მოუწია თანამშრომლების გათავისუფლება.
- თანამშრომლების შემცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეინიშნება სოფლის მეურნეობის და წარმოების სექტორებში, ხოლო ყველაზე მაღალი სასტუმროებსა და რესტორნებში (46%, სხვა სახის მომსახურების (40%) და ტრანსპორტირების და დასაწყობების (28%) სექტორებში

რაც შეხება გათავისუფლებული თანამშრომლების პროფესიებს, ყველაზე მეტი თანამშრომელი გათავისუფლდა გაყიდვების და მომსახურების პოზიციიდან (38,7%), მას მოსდევს ბიზნესი და ადმინისტრირება (10,5%), მშენებლობა (10%), წარმოება და გადამუშავება (8,3%) და ტრანსპორტირება (8,1%).

ცხრილი 3.1.4

2020 წლის პანდემიის პირობებში რა სახის ზომები მიიღო კომპანიამ წარმოქმნილი კრიზისის დასაძლევად ?

წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად მიკრო თვითდასაქმებული საწარმოების 55%-ზე მეტმა შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა.

	მიკრო თვითდასაქმებული	მიკრო 2-9 დასაქმებული	მცირე 10-49 დასაქმებული	საშუალო 50-249 დასაქმებული	დიდი 250ზე მეტი	ყველა ბიზნესი
წარმოების/სერვისების მოცულობის შემცირება	13%	16%	19%	36%	27%	18%
წარმოების/მომსახურები	32%	35%	28%	25%	25%	32%

ს შემცირება.						
ბიზნეს საქმიანობის შეჩერება.	59%	52%	40%	33%	25%	48%
დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება	3%	10%	16%	24%	18%	12%
დასაქმებულთა უხელფასო შვებულებაში გაშვება	4%	22%	26%	31%	23%	21%
შეკვეთების განთავსების შემცირება	14%	15%	16%	17%	16%	15%
ბიზნეს საქმიანობის ონლაინ რეჟიმში გადასვლა.	6%	12%	13%	24%	23%	13%
თანამშრომლები მუშაობენ სახლიდან	5%	19%	31%	56%	61%	24%
ბიზნეს საქმიანობის ცვლილება	3%	3%	5%	8%	2%	4%
ხელმისაწვდომი პროდუქტების გამოყენება	2%	3%	5%	8%	11%	4%

პასუხების 10%-ზე ნაკლები პასუხების 10%-20% პასუხების 30%-40% პასუხების 40%-50% პასუხების 50%-60% პასუხების 60%ზე მეტი.

წყარო : ქართული კომპანიები კოვიდ 19-ის გამოწვევის წინაშე, 2020

- გამოწვეული სირთულეების გამო ბიზნეს საქმიანობა ან და წარმოება შეჩერებინა.
- კომპანიებს, რომლებიც ასაქმებენ 50 ადამიანზე მეტს, სხვებზე მეტად აღმოაჩნდა შესაბამისი რესურსი და შესაძლებლობა, რომ ბიზნეს საქმიანობა ონლაინ რეჟიმში გადაეტანათ, თანამშრომლები დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადაეყვანათ და დამატებითი დაფინანსება გამოეყენებინათ.
- კვლევის მიხედვით ყოველ მე-10 კომპანიაზე მეტს მოუწია დასაქმებულთა შვებულებაში გაშვება.
- სექტორულ ჭრილში, ბიზნეს საქმიანობა შეაჩერა სასტუმროების და საკვების სფეროს წარმომადგენლების 66%-მა, ვაჭრობის სექტორის 57%-მა, მშენებლობის

სექტორის 53%-მა და სხვა მომსახურების სექტორის 50%-მა. ხოლო წარმოების და სოფლის მეურნეობის სექტორების წარმომადგენლების უმეტესობამ შეაჩერა ან შეამცირა წარმოების მოცულობა.

3.2.მცირე და საშუალო ბიზნესზე გაწეული შეღავათები მიმდინარე გამოწვევის პირობებში

რადგანაც პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მეწარმეებს სახელმწიფომ მხარდაჭერა გამოუცხადა მათ, პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად. კერძოდ;

- ბიზნეს სუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე - პროექტის ბიუჯეტი 171 მილიონ ლარს შეადგენს. გადასახადი უკვე გადაუვადდა 6000-ზე მეტ სუბიექტს.
- მცირე სასტუმროებს მიეცათ შესაძლებლობა საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებით ესარგებლათ 4-დან 50 ნომრამდე სასტუმროები 2020 წლის პირველი აპრილიდან იღებენ საბანკო 6თვის პროცენტის თანადაფინანსებას პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ ლარია.
- ავტო იმპორტიორებს ავტომობილების განბაჟების გადასახადის 90-დღიანი ვადა მიმდინარე წლის 1-ელ სექტემბრამდე გადაუვადდათ პროგრამის ბიუჯეტი 50მლნ. ლარია, ხოლო სარგებელი მიიღო 50 000 იმპორტიორმა.
- იურიდულ პირებს , რომლებსაც შეექმნა საბანკო სესხის მომსახურეობის პრობლემა, შესაძლებლობა მიეცათ მოახდინონ სესხის გამარტივებული რესტრუქტურიზაცია - შესაძლებლობით უკვე ისარგებლა 7 000 იურიდიულმა პირმა.

- ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება - წელს ბიზნესი დამატებით მიიღებს 600 მლნ. ლარს.(კორონავირუსი საქართველოში გავრცელების პრევენცია. 2020)

მთავრობამ წარადგინა დეტალური ინფორმაცია სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ქვედანაყოფების მიერ ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის თანახმად დაგეგმილი პროგრამებზე. ყურადღება გაამახვილა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო საქართველოში არსებულ ეკონომიკურ პროგნოზებსა და შექმნილ კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის გზებსა და შესაძლებლობებზე. მათ შორის, ადგილობრივი წარმოების განვითარების მიზნით მთავრობის მიერ დაფინანსებულ სტიმულირების პროგრამებზე.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა - იცვლება საკრედიტო საგრანტო სქემის მასშტაბიც, ჯერ კიდევ 2019 წელს ამოქმედებული საკრედიტო საგრანტო მექანიზმი, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეებს სახელმწიფო სესხის აღების დროს თავდებად დაუდგება რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი 20-დან 300 მილიონ ლარამდე გაიზრდება,რომლის მეშვეობითაც 2.1 მილიარდი ლარის საკრედიტო პორტფელის უზრუნველყოფა მოხდება. პროგრამის ფარგლებში, საკრედიტო გარანტიის გაცემა კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე, სესხის ძირი თანხის არაუმეტეს 70% - ის ნაცვლად 90% - ის ოდენობით მოხდება. ამასთანავე, 30% - ის უზრუნველყოფას განახორციელებს სახელმწიფო რესტრუქტურიზებული სესხის შემთხვევაში. საკრედიტო - საგრანტო სქემის ფარგლებში, მეწარმე სუბიექტს შეეძლება არანაკლებ 50 ათასი და არაუმეტეს 5 მილიონ ლარის მოცულობის სესხის აღება.

მთავრობის განცხადებით, ბიზნესის მხარდაჭერა ითვალისწინებს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების განახლებულ ფორმატს, რომელიც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, როგორიცაა შენარჩუნებულ სამუშაო ადგილებზე საგადასახადო შეღავათის დაწესება, ქონების და საშემოსავლო გადასახადის გადავადება ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნეს სუბიექტებისთვის, საოჯახო, მცირე და საშუალო სასტუმროებისთვის სესხის სუბსიდირება, ყველა იურიდიული პირისთვის სესხის

რესტრუქტურიზების შესაძლებლობა, ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის დაზღვევა , სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების განახლებულ ფორმატით განხორციელება, დღგ - ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმის ამოქმედება და სხვა.

პანდემიისგან გამოწვეული მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, სესხის და ლიზინგის სუბსიდირების პროგრამის საქმიანობის სახეობები გაიზარდა და შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილი სასესხო ლიმიტი 50 000 ლარამდე შემცირდა, რაც უფრო მეტ ბიზნესს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს სესხის თანადაფინანსებით. ასევე, გაიზარდა საქმიანობის სახეობები და თანადაფინანსების თვეების რაოდენობა, 24 - დან 36 თვემდე. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეიცვალა თანამონაწილეობის პროცენტიც - რეფინანსირების განაკვეთს + 3%.

მთავრობამ აღნიშნა, რომ „მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი“ პროგრამის ბიუჯეტი 10 - დან 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა და რეგიონების განვითარებაზე ორიენტირებულ საგრანტო პროგრამის გრანტის მოცულობის ზედა ზღვარი 30 000 ლარი გახდა. პრიორიტეტი ენიჭება: ქალ მეწარმეს, შშმ პირს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს. პროგრამაში გამარჯვებულ მეწარმეების თანამონაწილეობის თანხა კი 20% - ის ნაცვლად კი 10% – ია.

პოსტ-კრიზისული გეგმის უმთავრესი მიმართულება ადგილობრივი წარმოების განვითარებაა. „ ჩვენ ცხადად ვხედავთ, რამდენად მნიშვნელოვანია, საკუთარი რესურსი გქონდეს განვითარებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყო საკუთარი ბაზარი და საჭიროებები ქვეყანაში. ჩვენი პრიორიტეტი არის და იქნება ქართული წარმოების ხელშეწყობა“ - განაცხად მთავრობამ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020)

კრედო ბანკსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 36 მილიონი ლარის მოცულობის საფინანსო ხელშეკრულება გაფორმდა. 5 წლიანი შეთანხმების მიზანია სასოფლო-სამეურნეო სფეროში მოღვაწე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების

ხელშეწყობა. რესურსი გამოყოფილია ევროპის საინვესტიციო ბანკის, ,,Georgia Outreach initiative“ ფარგლებში, გამყარებულია ევროკავშირის გრანტით და წარმოადგენს ,,ევროპის გუნდის'' მყისიერ პასუხს კოვიდ-19-ით გამოწვეული სირთულეების სამართავად. მოქნილი და ხელმისაწვდომი პირობებით დაფინასება საშუალებას მისცემს ქართველ ფერმერებს შეუფერხებლად განაგრძონ ბიზნეს საქმიანობა და შეინარჩუნონ სამუშაო ადგილი.

3.3.მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკის კვლევის პრაქტიკული კონტექსტი

სამაგისტრო თემის ფარგლებში საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ოპტიმიზების მიზნით, დავგეგმე და დამოუკიდებლად ჩავატარე კვლევა

კვლევა ჩატარდა:

- სილამაზის სალონებში
- კაფე ბარებში
- რესტორნებში
- მარკეტებში
- ავეჯის საწარმოებში
- ტანსაცმლის მაღაზიებში
- აგროფირმებში
- სწრაფი კვების ობიექტებში
- ყვავილების მაღაზიებში
- აგროფირმებში
- გასართობ ცენტრებში
- ტურისტულ კომპანიებში

კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის შემუშავება მოხდა კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. კვლევის პროცესში გამოვიყენე რაოდენობრივი მეთოდი და იგი მივიღე რელევანტურად, რადგან ეს მეთოდი აბსოლუტურად მიღებულია ყველა მკვლევარის მიერ.

რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით კვლევა ჩავატარე შემდეგი სქემით:

- შევარჩიე კვლევის ინსტრუმენტი. კერძოდ, კვლევის არსებულ ინსტრუმენტებს შორის უპირატესობა მივეცი ანკეტირებას;
- შევადგინე ანკეტის კითხვარი;
- მოვახდინე მოპოვებული ინფორმაციის კომპიუტერით დამუშავება.

დიაგრამა.3.1.1



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

პირველი კითხვა - **„თქვენი ასაკობრივი ჯგუფი?“** - აღმოჩნდა რომ მეწარმეების 50%არის 25-დან 45-წლამდე 20% არის 25წლამდე და მეწარმეების 30%-ის ასაკი არის 45წელს ზემოთ.

დიაგრამა.3.3.2



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მეორე კითხვაზე - **„როგორია თქვენი განათლების დონე“** - პასუხით გავარკვიეთ, რომ გამოკითხულ მეწარმეთა 41,7% უმაღლეს დამთავრებულია, 39,3%-მა მხოლოდ საშუალო დაასრულა ხოლო 19%-ს არასრული საშუალო სკოლა აქვს დასრულებული. არ გვყავს სტუდენტი. მეწარმეების უმეტესობა უმაღლეს დამთავრებულია, თავისივე სპეციალობით, რაც იმაზე მიუთითებს რომ ისინი უკეთ გაუძღვებიან ბიზნეს.

დიაგრამა.3.3.3



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მესამე კითხვაზე - **„ რა იყო საწარმოს გახსნის მოტივი?“** - მეწარმეების 35,4%-მა საწარმო გახსნა დამატებითი შემოსავლის მიღებისათვის, 30%-მა საწარმო გახსნა დასაქმების მიზნით, რადგანაც დასაქმება შემოსავლის წყაროს უკავშირდება. 23%-მა საკუთარი უნარის რეალიზაციისთვის ხოლო 11,6%-ს უნდოდა საკუთარი წვლილის შეტანა ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც იმას მეტყველებს რომ მეწარმეებმა იცოდნენ თავიანთი შესაძლებლობა, რის შედეგადაც განახორციელეს მეწარმეობრივი საქმიანობა.

დიაგრამა.3.3.4



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მეოთხე კითხვაზე - **„რომელი დაფინანსების წყაროა გამოყენებული საქმიანობის დასაწყებად?“** - საქმიანობის დასაწყებად მეწარმეების 46%-მა გამოიყენა საბანკო სესხი, 25%-მა საქმიანობა დაიწყო საკუთარი დანაზოგით, 23,5%-მა საქმიანობა დაიწყო საკუთარი კაპიტალით და გააგრძელა საბანკო სესხით, ხოლო 5,5%-მა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი საქმიანობის დასაწყებად. თუ დასკვნას გავაკეთებთ საქმიანობის წყაროს დაწყების მიხედვით მეწარმეების უმეტესობა სარგებლობს სახელმწიფო სესხით ფინანსური კრიზისის გამო.

დიაგრამა.3.3.5



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მეხუთე კითხვაზე - **„თქვენი საქმიანობის პერიოდში რა შეღავათი მიიღეთ სახელმწიფოსგან?“** - მეწარმეების უმეტესობამ 35,9%-მა მიიღო სახელმწიფო სუბსიდირებით საერთაშორისო გრანტი, 23,4%-მა მიღო თანადაფინანსება აწარმოე საქართველოსგან მეწარმეების 21,7%-ს არ მიუღია სახელმწიფო მხარდაჭერა, მეწარმეების 19%-მა მიღო 3000ლარამდე შრომის ანაზღაურების შეღავათი.

დიაგრამა.3.3.6



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მეექვსე კითხვაზე **„რა არის თქვენი საქმიანობის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები?“** - მეწარმეთა 40%-ს ხელს უშლის სესხის მაღალი პროცენტი და სესხის ასაღებად ძვირადღირებული გირაოს საჭიროება, 20%-ს ხელს უშლის ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა, 12,5%-თვის ხელის შემშლელი ფაქტორი არის ბაზრის კონიუქტურის ცვლილება ხოლო 27,5% მიიჩნევს, რომ რთული და ცვლადი საგადასახადო კანონმდებლობაა ხელის შემშლელი ფაქტორი.

დიაგრამა.3.3.7



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მეშვიდე კითხვაზე - „**covid – 19 ის პერიოდში კმაყოფილი ხართ თუ არა სახელმწიფო შეღავათებით?“** - რესპოდენტთა 37.5% ნაწილობრივ კმაყოფილია სახელმწიფო შეღავათებით, 30,6%-ი უკმაყოფილოა სახელმწიფო შეღავათებით და ფიქრობს რომ სახელმწიფოს მეტის გაკეთება შეეძლო. 20% სრულად კმაყოფილია და მადლიერებას გამოთქვამს, ხოლო 12.3% ამბობს რომ არ შეხებია სახელმწიფო შეღავათი.

დიაგრამა.3.3.8



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ

მერვე კითხვაზე - **„კოვიდ - 19 მა იქონია თუ არა თქვენს საქმიანობაზე ზეგავლენა?“** - რესპოდენტთა 41%-მა განაცხადა რომ მოუწიათ თავისი საქმიანობის შეჩერება, რესპოდენტთა 23.8%-ი უმნიშვნელოდ დაზარალდა, 19,7%-ს ზარალი დიდი ქონდა, ხოლო 15.5%-ს . არ შეხებია.

დასკვნა

ბიზნესის განვითარება დღესდღეობით ერთ-ერთი პრიორიტეტულია. საქართველოში მთავრობამ დამწყები ბიზნესისთვის წამახალისებელი შეღავათები აამოქმედა, მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა ღონისძიებებისა, რომლებსაც მთავრობა ამოქმედებს მცირე ბიზნესი დღითიდღე მცირდება. არადა, დღეს, როდესაც უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალი გვაქვს, ქვეყანას ძალიან სჭირდება უფრო მეტი წარმოებული კომპანია და მომსახურეობა. მცირე ბიზნესი არის საშუალება იმისა, რომ ადამიანები დასაქმდნენ და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო შემწეობაზე.

- მცირე ბიზნესი განვითარებულია ჯერ კიდევ ძველ დროში, 40 საუკუნის წინათ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ქვეყნებში, რომელმაც რამდენიმე ეტაპი გაიარა. პირველი ეტაპი დაიწყო XIX საუკუნის ბოლოდან და დამთავრდა XX საუკუნის 30-იან წლებში; მეორე ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 30-იან წლებიდან და გაგრძელდა 70-იან წლებამდე; მესამე ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებიდან და იგი დღესაც გრძელდება.
- მცირე ბიზნესისთვის დამახასიათებელია ხუთი ნიშანი, რომელმაც იგი აქცია მუდმივად განვითარებად ბიზნეს-სექტორად. ეს ნიშნებია: მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება; უმაღლესი დონის ტექნიკა -ტექნოლოგიების წარმოშობა და განვითარება; ინოვაციურ სფეროში მცირე და საშუალო მეწარმეობის როლის გაძლიერება; მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ სახელმწიფო მთავრობათა დამოკიდებულების შეცვლა.
- მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს ფუნქციები ღირსებები და ნაკლოვანებები:

მცირე ბიზნესის ფუნქციები :

- საზოგადოებრივ-პოლიტიკური;
- კონკურენტულ-პოლიტიკური;
- სტრუქტურულ-პოლიტიკური;
- დასაქმებით-პოლიტიკური.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ღირსებებია:

- ფართო შესაძლებლობები მოსახლეობის დასაქმებაში;
- განსაკუთრებული როლი ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებაში;
- სწრაფი რეაგირება ბაზრის კონიუნქტურაზე;
- მოქნილობა და ოპერატიულობა.

მცირე ბიზნესს აქვს ნაკლოვანებებიც, მაგრამ მისი ღირსებები სჭარბობს ნაკლოვანებებს.

- ჩვენ მიერ მცირე და საშუალო მეწარმეთა ინდივიდუალური გამოკითხვით დადგინდა, რომ საქართველოში მოსახლეობის უმუშევრობა და აქედან გამომდინარე, ტოტალური სიღარიბე არის №1 პრობლემა და ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბური განვითარება.
- მოსაგვარებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიც. მცირე ბიზნესისთვის უპირატესად ეს არის ბანკის სესხის მაღალი პროცენტი და ძვირადღირებული მისი უზრუნველყოფა (გირაო), საშუალო ბიზნესისთვის კი ხშირად ცვალებადი საგადასახადო კანონმდებლობა. არის სხვა ფაქტორებიც, მაგრამ ეს ორი არის ძირითადი. სესხის პროცენტების დადგენაში კომერციულ ბანკებს უნდა დაუწესდეთ პროცენტის ზედა და ქვედა ზღვარები. რაც შეხება საგადასახადო კანონმდებლობას , ის უნდა იყოს სტაბილური.
- მცირე და საშუალო მეწარმეები მათი ასოციაციების და კავშირების მეშვეობით უნდა მონაწილეობდნენ საქართველოს ბიზნესის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში, დასანანია რომ დღეს ეს საქართველოში არ ხდება.
- 2020 წელს მიმდინარე გამოწვევამ მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში ზოგი მეწარმე იძულებული გახდა დროებით შეეჩერებინა ორგანიზაციის საქმიანობა, ხოლო ზოგიერთ მეწარმემ ვერ გაუძლო ზარალს და მთლიანად შეწყვიტა საქმიანობა. მცირე და საშუალო მეწარმეებს კოვიდ-19 - მა შეუმცირა ან შეუფერხა შეკვეთები, შეუმცირა გაყიდვები. ვალუტის ცვლილებამ გააძვირა ნედლეული, აღარ არის ხელმისაწვდომი.

- რაც შეეხება ბოლო პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო ისეთი პროგრამების შემუშავება როგორიცაა აწარმოე საქართველოში, შემუშავებული იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიები 2016 – 2020 წწ - თვის. პანდემიის პერიოდში სახელმწიფომ სხვადასხვა მხარდაჭერა და შეღავათები გაუკეთა მეწარმეებს კრიზისიდან გამოსასვლელად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოცემული ხელშეწყობის პროგრამები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა პრევენციული ზომების მიღება იმისათვის, რომ მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რაც შექმნის სამუშაო ადგილებს, გაზრდის ეკონომიკას და თუ შევძლებთ ევროკავშირის სტანდარტებს მოვარგოთ ჩვენი პროდუქცია, შევძლებთ ევროპის ბაზარზე გასვლასაც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ხელშეწყობის პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ეკონომიკაში ძალიან დაბალია. იგი ვერ ქმნის შესაბამის პროდუქტს.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ გარკვეულწილად მოქმედებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები, თუმცა ეგ საკმარისი არაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აქუბარდია თ.,** მცირე ბიზნესის ხელშეწყობის გარეშე ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ნომერი 5, 2005.
2. **ბალიაშვილი ე.,** ბიზნესის საფუძვლები, თბ.,2012.
3. **გოგიაშვილი ი.,** მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში, დისერტაცია 2009 : 51-53.
4. **თურნავა ნ.,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თბ., 2020.
5. კორონავირუსის გავრცელების პრევენცია საქართველოში. თბ. 2020.
6. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2009.
7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თბ. 2020.
8. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლისთვის, თბ., 2015
9. ქართული კომპანიები კოვიდ 19-ის გამოწვევის წინაშე თბ. 2020.
10. **ქადაგიშვილი ლ.,** მეწარმეობის განვითარება საქართველოში: ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2. 2016.
11. **ღუდუშაური ზ.,** ბალიაშვილი ე და სხვები, მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004.
12. **შურღაია ო.,** მცირე ბიზნესის საფუძვლები , თბ., 2010.
13. **ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის სტეფანოზ კომსელისი** და სხვები. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი III, თბ., 2011.
14. **ჯაფარიძე დ.**, საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2012.
15. index of economic freedom, 2015;
16. **Шулус А.,** становление системы поддержки малого предпринимательства в Росии, М., 2007.

17. Малые и средные предприямия по ре И Ханс пихлера и других, М., 2002.

18. https://bit.ly//2yy27zy

19. https://bit.ly2srv4ux

20. https://bit.ly/3fjy06u